



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018
წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

22 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,

ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგეს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	1. უაწყოფიტი მოსაზრების საფუძველი	3
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	8
	3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	12
	4. საკონტაქტო ინფორმაცია	15

ტერმინები და შემოკლებები

ანგარიშგება - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

აღსრულების ეროვნული ბიურო - სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო;

ეროვნული არქივი - სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი;

იუსტიციის სასწავლო ცენტრი - სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

იუსტიციის სახლი - სსიპ - იუსტიციის სახლი;

პრობაციის სააგენტო - სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო;

სააღრიცხვო ინსტრუქცია - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

სამინისტრო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

საჯარო რეესტრის სააგენტო - სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

სერვისების სააგენტო - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

სმართ ლოჯიკი - სსიპ „სმართ ლოჯიკი“;

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

გამოვლენილი გარემოება:

სააღრიცხვო ინსტრუქციის მიხედვით, კონსოლიდაციის დროს სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ნაშთები და მათ შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს.

სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, არ ხდება საბალანსო ერთეულებს შორის შიდაჯგუფური ნაშთების/ოპერაციების იდენტიფიცირება, ურთიერთშედარება და მათი ელიმინირება, რაც არ შეესაბამება სააღრიცხვო ინსტრუქციის მოთხოვნებს.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლები და ხარჯები გაზრდილია 42,805.35 ათასი ლარით, ხოლო მოთხოვნების და ვალდებულებების საბოლოო ნაშთები შესაბამისად 175.58 ათასი და 178.90 ათასი ლარით.

რეკომენდაცია N1

სამინისტროს აპარატს

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ანგარიშგების მომზადებისას, მოხდეს შიდაჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირება. ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირების მიზნით, სამინისტროს საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყოფ განხორციელებული ოპერაციებისა და არსებული ნაშთების ურთიერთშედარება.

1.2 ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ

კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად. სამინისტროს საბალანსო ერთეულების უმრავლესობაში 2018 წელს ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ან არასრულად ჩატარდა. კერძოდ:

- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში** 2018 წლის აპრილში ინვენტარიზაცია დაიწყო მხოლოდ ცენტრალურ საწყობში. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილია 915.05 ათასი ლარის ფასეულობათა დანაკლისი და შემდგომი რეაგირების მიზნით მასალები ამავე წლის ივლისში გადაგზავნილია სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტისთვის, თუმცა ამ უკანასკნელმა, იმ მოტივით რომ ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ სასაწყობო სამმართველოში და აღნიშნული ვერ უზრუნველყოფდა მატერიალური აქტივების სრულად მოძიებას, მიიჩნია რომ საჭირო იყო სრული სტრუქტურული ინვენტარიზაცია. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია სამსახურის გენერალურ დირექტორთან. აღნიშნულის შემდგომ დანაკლისებთან დაკავშირებით რეაგირება აღარ განხორციელებულა.

- **აღსრულების ეროვნულ ბიუროში** არც 2018 წელს და არც წინა ორი საანგარიშო წლის განმავლობაში არ ჩატარებულა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები და მიწა) ინვენტარიზაცია;

- ინვენტარიზაცია საერთოდ არ არის ჩატარებული სამინისტროს აპარატში, სმართ ლოჯიკში, პრობაციის სააგენტოში, საჯარო რეესტრის სააგენტოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრში;
- ინვენტარიზაცია ნაწილობრივ განხორციელდა ეროვნულ არქივში, კერძოდ ჩატარებულია ფაქტობრივი აღწერა, თუმცა შედეგები არ არის ასახული 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- **იუსტიციის სახლში** 2018 წლის დეკემბერში დაწყებული ინვენტარიზაცია ჯერ არ არის დასრულებული;

მოთხოვნა-ვალდებულებების ყოველწლიური ინვენტარიზაციის განხორციელება სამინისტროს თითქმის ყველა დაქვემდებარებულ უწყებაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რაც გარდა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობისა, დამატებით იწვევს შემდეგ რისკს: მოთხოვნების და ვალდებულებების ანგარიშებზე რჩება ლიკვიდირებული ორგანიზაციების მიმართ ნაშთები (სამინისტროს აპარატი, სპეციალური პენიტენციური სამსახური, ეროვნული არქივი), რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

მედიკამენტების აღრიცხვა და კონტროლი

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, 2017 წელს განხორციელებული მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგად, 2018 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმით, კომისიამ გამოავლინა 893.58 ათასი ლარის დანაკლისი (მათ შორის გაუქმებულ პენიტენციური დაწესებულებებზე რიცხული, 134.78 ათასი ლარის მარაგები).

ამავე ოქმში მოცემული განმარტებით, დანაკლისის ძირითად მიზეზებს წარმოადგენდა შემდეგი :

- წინა პერიოდებში მედიკამენტებზე ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა;
- წლების განმავლობაში მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არ ან რიგ შემთხვევებში არასწორი წარმოება (აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ აღნიშნულია ასევე სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჩატარებული 2014-2015, 2016, 2017 წლების აუდიტის ანგარიშებში);
- პენიტენციურ სისტემაში მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არარსებობა.

კომისიის მიერ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული აღნიშნულ შედეგების ბუღალტრულად ასახვა. სამინისტროს განმარტებით, ინფორმაცია გადაიგზავნება სამართალდამცავ უწყებებში.

მედიკამენტების აღრიცხვა-კონტროლის ნაკლოვანებები, აუდიტის სამსახურის წინა წლების ანგარიშებშიც არის ასახული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები, ამასთან, ვერ ვრწმუნდებით 2018 წლის 1 იანვარსა და 31 დეკემბერს, შესაბამისად, 65,000.67 ათასი და 63,792.91 ათასი ლარით

რეკომენდაცია N2

სამინისტროს აპარატს, ყველა დაქვემდებარებულ უწყებას

ასახული მარაგების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, მანქანა-დანადგარების/ინვენტარის და არამატერიალური აქტივების არსებობასა და სისრულეში. ასევე სამინისტროს მოთხოვნა-ვალდებულებების ნაშთები არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას.

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსურ ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები და მოახდინონ:

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა (3 წელიწადში ერთხელ - უძრავი ქონების);
- ზედმეტობა/დანაკლისებზე შემდგომი რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- დებიტორებთან/კრედიტორებთან ურთიერთშედარების აქტების გაფორმება;
- ხანდაზმული დავალიანებების ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში გადატანის საკითხის გადაწყვეტა.

**1.3 ძირითადი აქტივების
აღრიცხვის ნაკლოვანებები**

აღსრულების ეროვნული ბიუროს, სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ერიცხებათ მათ მიერ თბილისის **იუსტიციის სახლის** მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები, ჯამურად 85,507,328 ლარი.

არ არის გადაწყვეტილი ზემოთ აღნიშნული აქტივების **იუსტიციის სახლისთვის** გადაცემის საკითხი, რაც დამატებით წარმოშობს აქტივის აღრიცხვასთან დაკავშირებულ უზუსტობებს ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად და არ ერიცხება ცვეთა წლების განმავლობაში.

იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ფუნქციონირებს 2012 წლიდან, არ არის ექსპლუატაციაში მიღებული. სამინისტროს განმარტებით, დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა კომუნიკაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად. მიუხედავად იმისა, რომ **იუსტიციის სახლის** მიერ განხორციელებულია გარკვეული ქმედებები, არ არის იდენტიფიცირებული შენობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზი/ნაკლოვანება.

რეკომენდაცია N3

იუსტიციის სახლს,
სერვისების სააგენტოს,
საჯარო რეესტრის სააგენტოს

*შენობა-ნაგებობების აღრიცხვასთან და ფაქტობრივ სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, იუსტიციის სახლმა და შესაბამისმა სსიპ-ებმა მოახდინონ ურთიერთშედარება და დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე აღრიცხულ სამუშაოთა ღირებულებების **იუსტიციის სახლისთვის** გადაცემა.*

რეკომენდაცია N4 იუსტიციის სახლს	<i>იუსტიციის სახლის მიერ მოხდეს თბილისის იუსტიციის სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარვეზის/ნაკლოვანების იდენტიფიცირება, შედგეს დროში გაწერილი გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად.</i>
1.4 უბრავე ქონების კლასიფიკაცია რეკომენდაცია N5 სამინისტროს აპარატს, სმართ ლოჯიკს	იუსტიციის სამინისტროს შენობის (მის. თბილისი, გორგასლის N24ა) ნაწილი - 332,6 კვმ, სმართ ლოჯიკის ფაქტობრივ სარგებლობაშია. აღნიშნულ ქონებაზე არ არის განხორციელებული შესაბამისი უფლების რეგისტრაცია, ასევე აქტივი კლასიფიცირებულია არასწორად დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე და არ ერიცხება ცვეთა. <i>შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი მფლობელობა/სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისთვის, მოხდეს შესაბამისი უწყებისთვის მიმართვა იუსტიციის სამინისტროს შენობაში არსებული 332.6 კვმ ფართის ფაქტობრივ მოსარგებლეზე დარეგისტრირების მიზნით.</i>
1.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ნაკლოვანება რეკომენდაცია N6 სერვისების სააგენტოს	სერვისების სააგენტოს მიერ მკაცრი აღრიცხვის და სხვადასხვა სახის ბლანკების ხარჯად აღიარება ხდება საწყობიდან სხვა ქვედანაყოფებზე გადაცემისას, რაც რეალურად წარმოადგენს შიდა გადაცემის და არა - ხარჯვის ოპერაციას. ამგვარი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს მარაგების ნაშთების და ხარჯვის შესახებ სწორი ინფორმაციის წარმოდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში. შედეგად, 1,194.7 ათასი ლარის მარაგები არასწორად არის აღიარებული ხარჯად. <i>ფინანსურ ანგარიშგებაში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ნაშთების და ხარჯების შესახებ სწორი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, სერვისების სააგენტოს მიერ მათი ხარჯად აღიარება მოხდეს სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებიდან წარმოდგენილი ხარჯვის შესახებ ანგარიშების საფუძველზე.</i>
1.6 საპროცენტო სარგებლის შემოსავლად აღიარების ნაკლოვანება რეკომენდაცია N7 სამინისტროს და დაქვემდებარებულ სსიპებს	სამინისტროს სხვადასხვა სსიპ-ების მიერ დეპოზიტებზე განთავსებული სახსრებიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი შემოსავლის სახით აღიარდება საკასო მეთოდით, შესაბამისად არსებობს რისკი, რომ შემოსავლის აღიარება მოხდეს არასწორ საანგარიშო პერიოდში, ვინაიდან ბანკების მიერ წინა თვის საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა ხდება მომდევნო თვის დასაწყისში. შედეგად 488.17 ათასი ლარით გაზრდილია მუხლი „შემოსავალი საკუთრებიდან“. <i>ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებთან“ დაკავშირებით სწორი მონაცემების წარდგენისთვის, სამინისტროს სსიპ-ების მიერ მოხდეს დარიცხული საპროცენტო შემოსავლების შესახებ ყოველთვიური ინფორმაციის მიღება კომერციული ბანკებიდან, რის საფუძველზეც უნდა აღიარდეს საპროცენტო შემოსავალი.</i>

1.7 სხვადასხვა აქტივებზე ცვეთის ნორმის არარსებობა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის და აღსრულების ეროვნული ბიუროს ბალანსზე ირიცხება 1,472,015 ლარის სტრატეგიული აქტივი¹, თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით² ასეთ აქტივებზე ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავე ინსტრუქციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

რეკომენდაცია N8

სპეციალურ პენიტენციურ
სამსახურს, აღსრულების
ეროვნულ ბიუროს

მოქმედი საკანონმდებლო აქტების და სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს ისეთი ქონების ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.

¹ ცეცხლსასროლი იარაღი

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439 (2002 წლის 31 დეკემბერი) „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატს არ გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად და „მთავარი წიგნის“ საწარმოებლად. სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ხორციელდება პროგრამა MS Excel-ის მეშვეობით, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებას, ვინაიდან შეიცავს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული უზუსტობის რისკებს.

რეკომენდაცია N9

სამინისტროს აპარატს

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით, სამინისტროს აპარატმა უზრუნველყოფს შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

2.2 შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ნაკლოვანება

“ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპების გაწერა დროში თანხმდება დაწესებულებასა (მხარჯავ) და ფინანსთა სამინისტროს შორის“. ამავ დამდგენილებით, უწყება წლის დასრულებიდან მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშს. სამინისტროს მიერ არ არის მომზადებული და ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი, როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დროში გაწერილი ეტაპები, ასევე „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და განვითარების შესახებ“ 2018 წლის ანგარიში.

რეკომენდაცია N10

სამინისტროს აპარატს

კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად და ასევე შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, სამინისტროს მიერ:

- მომზადდეს შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის გეგმა და წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს შესათანხმებლად;
- ყოველწლიურად აღნიშნული გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში მომზადდეს და წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს.

2.3 შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ნაკლოვანება

აღსრულების ეროვნული ბიუროს, იუსტიციის სახლის და სერვისების სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, მათი ანგარიშების მიხედვით, წარმოადგენს თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმება, რაც არ შეესაბამება „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს.

ასევე, სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი

ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება.

საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების - „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისად, **საჯარო რეესტრის სააგენტოში** შიდა აუდიტის სტრუქტურული დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირებით საქმიანობას ახორციელებს);

რეკომენდაცია N11

სერვისების სააგენტოს, იუსტიციის სახლს, საჯარო რეესტრის სააგენტოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს

სსიპ-ებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის და ასევე, შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულებისთვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესასრულებლად, შიდა აუდიტის წლიური გეგმით განისაზღვროს „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანობები (დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სისრულის და სიზუსტის შეფასება და ა.შ).

2.4 შემოსავლების აღრიცხვის ნაკლოვანება

სერვისების სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ეროვნულ არქივის შემოსავლების სისტემა მოიცავს ყოველდღიურ რუტინულ და მრავალრიცხოვან ოპერაციებს, რომელთა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე აღრიცხვა მოითხოვს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მხარდაჭერას და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობას, რაც დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სსიპ-ებში არ არსებობს.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2018 წლის ბოლოს სადეპოზიტო ანგარიშებზე სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებული თანხების და მათი ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. მონაცემთა დამუშავება ხდება ბიუროს ეკონომიკური სამსახურის ანგარიშსწორების განყოფილების მიერ MS Excel-ის პროგრამაში. ყოველდღიურად თანხების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია, ცალკეული საქმეების მიხედვით მუშავდება თანამშრომლების მიერ, რის შემდგომაც დგება ნაერთი ფორმა. აღნიშნული საჭიროებს დიდ დროით რესურსს. მანუალური სახის კონტროლიდან გამომდინარე, არსებობს შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებას.

რეკომენდაცია N12

სერვისების სააგენტოს,
საჯარო რეესტრის სააგენტოს,
აღსრულების ეროვნულ
ბიუროს, ეროვნულ არქივს

შემოსავლების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით:

- *სერვისების სააგენტომ, საჯარო რეესტრის სააგენტომ და ეროვნულმა არქივმა უზრუნველყონ ისეთი IT სისტემის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით.*
- *სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხების ოპერატიული და სრულყოფილი კონტროლის, ასევე შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მომზადების უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.*

**2.5 სააღრიცხვო პოლიტიკის
შემუშავება და დამტკიცება**

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგ საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვა.

სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში რიგ შემთხვევებში ერთიდაიგივე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, მოგების გადასახადის გაანგარიშება, ქონების/მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდების/პრინციპების არსებობა.

რეკომენდაცია N13

სამინისტროს აპარატს, სხვა
დაქვემდებარებულ უწყებებს

სამინისტრომ და საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ, რომ უახლოეს მომავალში მიღებულ იქნას დეტალიზებული, ორგანიზაცი(ებ)ის ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას.

**2.6 იუსტიციის სახლის
კუთვნილი ავტოსადგომის
იჯარასთან დაკავშირებული
დავა**

2016 წლის 30 მაისს გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე, 2016 წლის 9 ივნისს იუსტიციის სახლსა და შპს „ტრანს-პარკინგი 2016“-ს შორის გაფორმდა 3-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე მდებარე მიწის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (10,851 კვ.მ) გადაცემაზე, ფასიანი ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აუქციონის საკვალიფიკაციო მოთხოვნების აუცილებელ განსაზღვრას. აღნიშნული წარმოადგენს მესაკუთრის დისკრეციას და საშუალებას იძლევა მოხდეს სათანადო და კვალიფიციური პრეტენდენტის შერჩევა. იუსტიციის სახლის მიერ გამოცხადებული აუქციონი არ ითვალისწინებდა პრეტენდენტის გამოცდილებას, შედეგად მასში მონაწილეობა არ იყო შეზღუდული სხვადასხვა კრიტერიუმით.

იუსტიციის სახლის განმარტებით, აუქციონის გამოცხადებისას საკვალიფიკაციო პირობების დადგენით იზღუდება პოტენციურ მონაწილეთა წრე, ხოლო იმ პერიოდში ბაზარზე ამ მოცულობის პარკინგის გამოცდილების მქონე კომპანიის მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

აუქციონში გაიმარჯვა შპს „ტრანს-პარკინგი 2016“-მა.³ მოიჯარე ქირას სრულად იხდიდა მხოლოდ 7 თვის განმავლობაში, ხოლო შემდგომ სახელშეკრულებო პირობები დაარღვია.

მოიჯარემ 2016 წლის დეკემბერში, ითხოვა საიჯარო ქირის გადახედვა, რაზეც იუსტიციის სახლისგან მიიღო უარი. იუსტიციის სახლის განმარტებით, უარის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საიჯარო თანხა დადგენილი იყო აუქციონის პირობებით და შესაბამისად შეცვლილი ფასი წინააღმდეგობაში იქნებოდა აუქციონით დადგენილ პირობებთან.

2017 წლის 11 აპრილს შპს „ტრანს პარკინგ-2016“-მა სასამართლოში შეტანილი სარჩელით მოითხოვა ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. იუსტიციის სახლმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა გადაუხდელი საიჯარო ქირის, დარიცხული ჯარიმის და მიყენებული ზიანის ანაზღაურება – 389.87 ათასი ლარის ოდენობით.

ამასთანავე, იუსტიციის სახლმა სასამართლო დავის დაწყების შემდეგ, კომპანიასთან ხელშეკრულება ცალმხრივად გაწყვიტა, მიუხედავად ამისა მოიჯარემ არ დატოვა სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია და ოპერირებას 2019 წლის ივნისამდე (სასამართლო პროცესის პარალელურად) ფაქტობრივად 2 წლის განმავლობაში, ახორციელებდა თანხის გადაუხდელობას.

2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით, გადაუხდელი თანხა 530.9 ათას ლარს⁴ შეადგენს.

2019 წელს იუსტიციის სახლის ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია სრულად. აღსანიშნავია, რომ მოიჯარის მიერ დაწყებული დავა გაგრძელდა 2 წლის განმავლობაში. ამასთანავე მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა შემდგომ ინსტანციაში, რაც თანხის მიღების პროცესს დროში მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს და რისკის ქვეშ აყენებს.

³ აუქციონის გამოცხადებამდე 2 თვით ადრე დაფუძნებულმა კომპანიამ

⁴ 29 თვე X 20,100 ლარი_52,000 ლარი.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა:

რეკომენდაცია N1. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სისრულის და სიზუსტის და შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე აქტივების დაცულობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად, სამინისტროს აპარატსა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ, განხორციელდეს: • ქონების სრულყოფილი ინვენტარიზაცია და შედეგების ასახვა ანგარიშგებაში, ინვენტარიზაციის ფარგლებში მოხდეს ბალანსზე (პროგრამული კოდი 27 01) რიცხული შენობა - ნაგებობების სრული იდენტიფიცირება და მათი სარეგისტრაციო მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა; • ბალანსზე რიცხული და სამინისტროს სარგებლობაში არარსებული ქონების სრულად იდენტიფიცირება და მათი ჩამოწერა შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულდა	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2018 წელს მოხდა 4 შენობა-ნაგებობის ფართის დაზუსტება და რეგისტრაციის მიზნით წერილები გაგზავნილია საჯარო რეესტრის სააგენტოში. 2018 წლის აპრილში დაიწყო სასაწყობო სამმართველოზე რიცხული ფასეულობების ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 915,049.19 ლარის დანაკლისი, თუმცა სამსახურის მხრიდან მას არ მოჰყოლია შემდგომი რეაგირება - დანაკლისების მიზეზების გამოკვლევის მიზნით მათი გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის.
რეკომენდაცია N2. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ ეტაპობრივად მოხდეს ფასეულობათა აღწერა და მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებების გაფორმება ყველა იმ ქვედანაყოფზე, სადაც ხორციელდება ფასეულობათა მიღება, შენახვა და განაწილება.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	მიმდინარე პერიოდისთვის რეკომენდაცია შეუსრულებელია
რეკომენდაცია N3. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, პრობაციის სააგენტოს	ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების სიზუსტის და სისრულის უზრუნველსაყოფად, მოხდეს მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგების დამტკიცება და შემდგომ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე, განხორციელდეს აღნიშნული მასალების ჩამოწერასთან დაკავშირებული ხარჯების რეტროსპექტიულად გასწორება საადრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად, რაც გულისხმობს აქტივებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადანაწილებას.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მიმდინარეობს შენობა-ნაგებობათა ფართების დაზუსტება, რის შემდგომაც მოხდება მიწების ღირებულებით შეფასება. პრობაციის სააგენტოს მიერ მოხდა ნულოვანი ღირებულებით ასახული მიწის შეფასება.
რეკომენდაცია N4 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	ბალანსზე აღრიცხული აქტივების სიზუსტის და სისრულის უზრუნველსაყოფად, მოხდეს სამინისტროსა და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მათ სარგებლობაში არსებული და ბალანსზე აღურიცხავი მიწების ღირებულებით შეფასება და შემდგომი ასახვა ანგარიშგებაში.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან არ განხორციელებულა. პრობაციის სააგენტოს მიერ მოხდა ნულოვანი ღირებულებით ასახული მიწის შეფასება.
რეკომენდაცია N5 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების სისრულის და სიზუსტის და შესაბამისად, ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნას შესაბამისი კომისიები, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, განხორციელდეს მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების ასახვა ანგარიშგებაში. სამართალდამცავ ორგანოებთან მოხდეს კომუნიკაცია იმ დავალიანებებზე, რომელთა დოკუმენტაციაც გადაგზავნილია ამ უწყებაში.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	რეკომენდაცია მიმდინარე პერიოდისთვის შეუსრულებელია
რეკომენდაცია N6 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	შემოსავლების და ხარჯების სისრულის უზრუნველყოფის და დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნების კონტროლის მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოხდეს დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების ასახვა ანგარიშგებაში.
შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი	2018 წლის ანგარიშგების მონაცემებით, აღნიშნული რეკომენდაცია შეუსრულებელია, პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, ინფორმაცია აისახება 2019 წლის ანგარიშგებაში.
რეკომენდაცია N7 სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს	აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებაში სრულად ასახვის მიზნით, იურიდიულ დეპარტამენტთან კომუნიკაციით მოხდეს სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება და შესაბამისი თანხების (მოთხოვნები, პირობითი მოთხოვნები, ვალდებულებები) ანგარიშგებაში ასახვა.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, იურიდიულ დეპარტამენტთან კომუნიკაციის საფუძველზე, ხორციელდება სასამართლო დავებთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ანგარიშგებაში.

რეკომენდაცია N8

პრობაციის სააგენტოს

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა სრულად ინფორმირების მიზნით, **პრობაციის სააგენტოს** მიერ მოხდეს კონტროლირებული ერთეულის შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ფინანსური ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში აქტივების, ვალდებულებების, ნამეტის და დეფიციტის თანხების ჩათვლით.

შესრულების მდგომარეობა:

შესრულებული

სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახულია ინფორმაცია შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ.

4. საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ლევან შუბითიძე - Lshubitidze@sao.ge თამუნა ბერუაშვილი - Tberuashvili@sao.ge სალომე კვანტალიანი - Skvantaliani@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE